დამტკიცებულია
სსიპ _ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
2013 წლის " 22.10 "
№128/01-01 ბრძანებით

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველთა გამოცდის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის წესი

მუხლი 1. საპრეტენზიო კომისია

1. უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველთა გამოცდის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიები განიხილება რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი საპრეტენზიო კომისიის მიერ.
2. საპრეტენზიო კომისია იხილავს თსუ საგამოცდო ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდის მხოლოდ პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებულ პრეტენზიებს.

მუხლი 2. საპრეტენზიო კომისიის რეგლამენტი

1. საპრეტენზიო კომისიის სხდომას იწვევს საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე.
2. საპრეტენზიო კომისიის სხდომებს უძღვება საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე.
3. საპრეტენზიო კომისია პრეტენზიებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს პრეტენზიის წარდგენის დღეს.
4. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილებები მიიღება კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით.
5. საპრეტენზიო კომისიის სხდომაზე მიიღება საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება, რომელსაც ხელს აწერს საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე.

მუხლი 3. უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდის პროცედურული დარღვევების გასაჩივრება

1. თსუ-ს საგამოცდო ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდის პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე, აპლიკანტი უფლებამოსილია

გამოცდის დღეს შეიტანოს საპრეტენზიო განაცხადი საპრეტენზიო კომისიის სახელზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი (კანცელარია).

2. პრეტენზიის წარდგენისას აპლიკანტმა თან უნდა იქონიოს დაბადების/პირადობის (ბინადრობის) მოწმობა/პასპორტი.

3. თსუ-ს საგამოცდო ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდის პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე წარდგენილი პრეტენზია შეიძლება ეხებოდეს:

ა) პრეტენზიის წარმდგენი აპლიკანტის უფლებების დარღვევას სხვა აპლიკანტების მიერ;

ბ) სხვა აპლიკანტის მიმართ თსუ-ს საგამოცდო ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდის პროცედურის დადგენილი წესის დარღვევას სხვა აპლიკანტების მიერ (აპლიკანტისათვის დახმარების აღმოჩენა და ა.შ).

გ) თსუ-ს საგამოცდო ცენტრის მიერ აპლიკანტის მიმართ გამოცდის პროცედურის დადგენილი წესის დარღვევას.

4. თსუ-ს საგამოცდო ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდის პროცედურის დარღვევის დადასტურების შემთხვევაში საპრეტენზიო კომისიამ შეიძლება მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება/გადაწყვეტილებები:

ა) აპლიკანტის მიერ ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდის პროცედურის დარღვევისას – მისი ნაშრომის ნული ქულით შეფასების თაობაზე;

ბ) აპლიკანტის უფლებების დარღვევის დადასტურებისას – მისი ნაშრომის გასწორების თაობაზე.

5. თსუ-ს საგამოცდო ცენტრი საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილებას პრეტენზიის წარდგენის დღეს აცნობებს აპლიკანტს.

6. აპლიკანტის საპრეტენზიო განაცხადის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დამატებითი გამოცდის ჩატარებას.